

შიდა აუდიტის როლი და პასუხისმგებლობა კორპორატიული მართვის
მექანიზმებში

გურამ არევაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (მენეჯმენტში) აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2021)

აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკის განვითარებამ და ამასთან ახალი მოდელის ჩამოყალიბებამ, სიახლეებისა და შედარებით გამართული მოდელების აუცილებლობის წინაშე დააყენა ბიზნეს გარემო. ბიზნეს სფეროში სააქციო საზოგადოებების გამოჩენამ და განვითარებამ საწარმოს ახალი მოდელის შექმნას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც უკვე არსებული ფორმებისკან შედარებით სირთულითა და კომპლექსურობით ხასიათდება. ასეთი სახის საწარმოების მართვასა და ამასთან მის გამართულად მუშაობას მრავალი ასპექტი განაპირობებს.

ნაშრომში განხილულია თემა, რომელიც რთულ ბიზნეს მოდელში, სააქციო საზოგადოებებში, კორპორაციებში, მართვის სისტემის ნაწილია. ნაშრომში შიდა აუდიტი განხილულია როგორც კორპორაციული მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. არსებული მოსაზრება განმტკიცებულია ლიტერატურული მიმოხილვით, უცხოელი მკვლევარების შეფასებებითა და შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) გამოქვეყნებული სტატიებით. ნაშრომში განხილული ლიტერატურული მიმოხილვისას განხილულია შიდა აუდიტის სფეროში გამორჩეული მკვლევარების ურტონ ანდერსონისა და მაიკლ ჰედის მიდგომები. ასევე განხილულია ქართული რეალობისათვის საკანონმდებლო ხასიათი და მთავრობის კანონები, დადგენილებები და განკარგულებები.

ნაშრომში ჩატარებული კვლევის ამოცანაა დაადგინოს თუ რა სახის უფლებები და მოვალეობები გააჩნია შიდა აუდიტს სააქციო საზოგადოებებში. ამასთან კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდეს მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა როლი აკისრია შიდა აუდიტს კორპორაციულ მართვაში. ამისათვის სააქციო საზოგადოებების წარმომადგენლებისა და შიდა აუდიტის თანამშრომლების გამოკითხვის საშუალებით ჩმოვიყალიბეთ მოსაზრებები.

შესაბამისად ლიტერატურის მიმოხილვისა და კვლევის ჩატარების შემდგომ, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა თუ რა როლი და პასუხიმგებლობა აკისრია შიდა აუდიტს კორპორაციულ მართვაში. ასევე გამოიკვეთა თუ რა ნაკლოვანებები გააჩნია საქართველოში შიდა აუდიტს და რა მიმართულებებით განსხვავდება ის უცხოურ ლიტერატურაში ახსნილი მოდელებისგან.

ნაშრომი თავის მხრივ მომხმარებელს აძლევს საშუალებას გაეცნოს უცხოელი მკვლევარების მოსაზრებებსა და მათ მიერ შემოთავაზებულ მოდელებს, სადაც შიდა აუდიტი კორპორაციული მართვის მექანიზმებში მკაფიოდ მონაწილეობს. ამასთან ნაშრომში კვლევის საფუძველზე, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა დაინახოს, რომ საქართველოში შიდა აუდიტის მიდგომები არასაკმარისად განვითარებული და მოძველებულია.